# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილისს ნებტი პოეტის **თ. ნიკოლოზ ბარათაშვილისა**. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულის ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის $9^1/_2$ საათზედ, რკინის გზის ვაგზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, ღვთის-მშობლის ეკკლესიაში.


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 მაისიდამ წლის დამლევამდე, ფასი 7 მან. 25 კ. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

### მივიწყებული საჭიროება

ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ძალიან ძვირად გაიგონებს კაცი, რომ ჩვენის ქვეყნისათვის დიდად საჭიროა ქალების სასწავლებელი.

ეს საჭიროება იმდენად მივიწყებულია, თითქოს არც-კი არსებობდეს! თითქოს ჩვენის ქალების განათლებას და მომზადებას შემდეგის მძიმე და რთულის მოვალეობისათვის აღარავითარი დახმარება არ უნდოდეს!

არ არის საგანი ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც ათასჯერ არ განხილულიყოს და არ გამოეწვიოს საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი; მხოლოდ ქალების სწავლა-განათლების საქმე როგორღაც ყოველთვის მივიწყებულსავით დარჩენილა!

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველს ერს არ ესმოდეს კარგის ქართველის ქალის მნიშვნელობა ქვეყნის წარმატებისათვის? არ ესმოდეს, რომ მხოლოდ კარგს დედას შეუძლიან გამოუზარდოს ქვეყანას კეთილი და ერთგული შვილი?! არა, ყოველივე ესე ჩინებულად გვაქვს გაგებული, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდის.

რა უნდა იყოს ამ ფრიად სამწუხარო გარემოების მიზეზი?— ჩვენ ასე გვგონია, რომ ამ ნაირი გულ-გრილობა ერის უდიდესსა და უაღრესს საჭიროებისადმი არის შედეგი ჩვენებურის დაუდევრობისა.

ეს დაუდევრობა აუცილებელ თვისებად გადაჰქცევია ქართველ კაცს და აბრკოლებს ყოველს კერძო და საზოგადო საქმეში. უნდა აღვიაროთ, ჩვენდა სამწუხაროდ, რომ დაუდევრობა მთელის ქართველის ერის ნაკლულევანება არის, და იგი კიდევ მრავალჯელ წაგვაკვრევინებს ფეხს, თუ რაიმე ღონისძიება არ მივიღეთ.

ეს უბედური თვისება აჩრდილსავით დასდევს ყოველს ქართველს და ჩასჩურჩულებს: „აბა, რას იწუხებ თავს? განა ისე-კი ცოცხალი და მაძღარი არა ხარ, რომ კიდევ რაღაცა საჯათო და ასაშფოთებელი საქმე გინდა მოიგონო და მით სულის მყუდროება და მშვიდობიანობა დაირღვიო!?“

არც ერთის ერის წარმატება და აღორძინება არ არის დასაჯერებელი, სანამდის ამ ერს კარგი ოჯახი არ გაუჩნდება! და მართლაც, რა არის სკოლაში და უმაღლესს სასწავლებელში სწავლისა და მეცნიერების შეძენა, თუ უმაწვილს დედისაგან არა აქვს ჩანერგილი კეთილი გრძნობა? რა ნაყოფს მოუტანს ქვეყანას, თუ გინდა, დიდად განათლებული ახალგაზრდა, უკეთუ მისი იდეალი კაცისა და ქვეყნის სიყვარული არ არის?! მხოლოდ წესიერად აღზრდილს დედას შეუძლიან ჩაუნერგოს შვილს ესრეთი მაღალი გრძნობა! მხოლოდ ამ გვარად აღზრდილს დედის ლოცვა-კურთხევით ცხოვრების ასპარეზზედ გამოსულს კაცს ექნება ღონე და ენერგია წინააღუდგეს ბოროტებას და ემსახუროს თავის ერს.

როდესაც იტალია ებრძოდა ავსტრიის ჯარებს, მაშინ ერთმა იტალიელმა ქალმა გაუგზავნა თავისი უნცროსი შვილი გარიბალდის და თან ასეთი წერილი გაატანა: „შევიტყე, რომ ჩემი რვა შვილი შეუწირავს მსხვერპლად ჩვენს საყვარელ სამშობლოს; ყველანი დახოცილან ომში. გიგზავნით ამ უკანასკნელ შვილსაც; ამისი სიცოცხლეც შემოავლეთ თავს იტალიის განთავისუფლებას!“

რა დიდებული და ბრწყინვალე მაგალითია!

რასაკვირველია, საცა ამისთანა წმინდა გრძნობითა და აზრით გამსჭვალული დედა მრავლად არის, იქ ქვეყნის მომავალი საიმედოა. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს... დღეს ჩვენ გვსურდა მხოლოდ გაგვეხსენებინა საზოგადოებისათვის ეს მივიწყებული საჭიროება. შემდეგში-კი ვეცდებით აღვნიშნოთ, როგორ მოევლება ამ ჩვენს დიდს საჭიროებას.

მეველე

## ახალი ამბავი

*** პ. ცხვილოელმა შესწირა „წერა-კითხვის“ გამავრცელებელ საზოგადოების მუზეის: 1, პატარა თიხის ღვინის სასმელი, ცალყურა, ძველი ჰიჰლა, ნაპოვნი ძველს საფლავში (აკლდამა) გორის მაზრის სოფ კრისისხევში, ოსიაურის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, 2, ძველი კრამიტი, ნახური სიღნაღის მაზრის ძველ ზანგაურას საყდარზედ, რომელიც მდებარეობს ალაზან გაღმა, ყაიბნის (ანდრონიკაანთ ტყე) ბოლოს, სადაც სოფელი ზანგაურა აიოხრა შაჰაბასმა 1615 წ. და რომელიც გავერანებულია დღემდე.

*** თ. ზაქარია გიორგის ძეს ერისთავს ოფიციალური წერილი მიუწერია გუბერნიის წინამძღოლის ლუარსაბ მაღალაშვილისათვის, რომლითაც აცნობებს, რომ ის სწირავს ს. ოძისში, დუშეთის მაზრაში მდებარე, თავის მამულს თავად-აზნაურობას სამეურნეო სასწავლებლისათვის. შემწირველის აზრით მომავალი სასწავლებელი უნდა იყოს დამატება ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლისა.

ამ მამულში 1000 დესეტინამდეა, მშვენიერი ქვითკირის ორ სართულიანი სახლები თავის მოწყობილობით, ვენახი 30 დღისა, ბაღი 10 დღისა, 100 დღისა მეტისა სარწყავი მინდორი, სხვა ტყე და საძოვარი. ამ მამულიდგან შემოსავალი სამას თუმნამდეა თურმე. ს. ოძისი კასპის სტანციიდან 15—16 ვერსზეა. („კვალი.“)

*** ჩვენ მივიღეთ კახეთში დამშეულთა სასარგებლოდ ვლადიმერ მაჰავარიანისაგან 1 მანათი. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 32 მანათი, შესდგა 33 მანათი.

*** იმ უსიამოვნობის გამო, რომელიც მოხდა ამას წინად ტფილისის კლუბში ორ რედაქტორ შორის, გუშინ-წინ, 18 აპრილს ამ კლუბის წევრთ უნდა გადაეწყვიტათ, რომელი მათგანი დარჩენილიყო კვლავ კლუბის წევრად და რომელი აღარა. უყარეს კენჭი და გაზ. „ნორ-დარის“ რედაქტორს სპანდარიანს ამოუვიდა 102 შავი და 99 თეთრი, ხოლო „Тифл. Лист.“-ის რედაქტორს ქრ. ხერატუროვს—66 შავი და 137 თეთრი. ამ სახით, სპანდარიანი დათხოვნილ იქმნა კლუბიდამ.

*** ტფილისის მაზრის უფროსს მოუვიდა ცნობა, რომ ამ თთვის 18-ს ეგრედ წოდებულს ქვაყრილის ხევში, ავჭალის სამამასახლისოში, კალია გამოჩეკილაო. იმ წამსვე გაგზავნეს მუშები კალიის გასაწყვეტად.

*** ტფილისის გამგეობას 15 აპრილისთვის გაუნაწილებია სახელმწიფო გარდასახადი ქალაქის მამულებზედ ამა 1893 წლისა.

ეს გარდასახადი შარშანდელზედ მეტია 10,688 მანეთით. წრევანდელი გარდასახადი არის 63,611 მ. და 13 კაპ.

მამულების დაფასების მიხედვით (მამულები დაფასებულია 34,275,449 მანათად) სახელმწიფო გარდასახადი გაანაწილეს ამ რიგად:

| დაფასება მან. | სახელმწიფო გარდასახადი მან. კაპ. |
|---|---|
| 100,000 | 185—60 |
| 80,000 | 148—52 |
| 50,000 | 92—83 |
| 30,000 | 55—70 |
| 15,000 | 27—85 |
| 10,000 | 18—57 |
| 8,000 | 14—85 |
| 6,000 | 11—14 |
| 4,000 | 7—43 |
| 2,000 | 3—71 |
| 1,000 | 1—86 |

## ფელეტონი

### სოფლის მასწავლებელი

სიზმარი.

თქვენ არ იცნობთ მათეს? არა? ჩვენს პატარა სოფელში-კი ყველამ იცის, ვინც არის მათე; მათე სამრევლო სკოლის მასწავლებელი გახლავს და იღებს წელიწადში ასს მანეთს ვერცხლის ფულს. ხუმრობა საქმეა ასი მანეთი? სამაგიეროდ დილიდამ მოკიდებული საღამომდე ფეხზე სდგას და სამოციოდ ძონძებში გახვეულ ტიტველა სოფლის ბავშვებს «жилъ былъ у бабушки серенькій козликъ»-ს ამღერებს... და მერე რა ხმით, რომ იცოდეთ? ისე ტკბილად და მწყობრად, რომ სოფლის ბალღები სიამოვნებით ერთბაშად ღმუილს მოჰყვებიან ხოლმე...

დღეს ძალიან დაიღალა მათე.. ხუმრობა-კი ნუ გგონიათ შვიდს საათს ფეხზე დგომა და მერე მათესათვის, რომლის ფეხები სხვებისას არა ჰგავს. უგულო ბუნებას ერთობ ბოროტად უხუმრია პატივცემულ პედაგოგისათვის: ტერფი ზევით გადმოუტრიალებია, ფეხის ზურგი ქვეშ მოუქცევია და შემდეგ ამ ახირებულის „აპერაციისა“ დაცინვით უთქვამს,—აჰა, წადი და იარე! რასაკვირველია, მათე დადის, ბედს არ ემდურება, გაიქცევა კიდეც, თუ დასჭირდა, მაგრამ დიდხანს ფეხზე დგომა-კი ძალიან უმძიმს: ქუსლი უსივდება და ტკივილები აუტყდება ხოლმე...

მადლობა ღმერთს! ძილის დროც მოვიდა. მათე ახლა მოსვენებას მიეცემა დამშვიდებულის სინიდისით: განა სამართლიანად არ დაიმსახურა შვიდის საათის მოსვენება თითქმის მთელის დღის შეუწყვეტელ შრომით გაყინულს სკოლაში, რომელშიაც ყოველის მხრით ისე თავისუფლად შემორბის და სეირნობს დეკემბრის სუსხიანი ქარი, როგორც ტრიალს მინდორში?... დიალ, ახლა მათე ჩაწვება ქვეშსაგებში, ფეხებს სიამოვნებით გაშლის, გაშეშებული ძარღვები გაუთბება, ერთს ჩასთვლემს და მერმე მაგრად ჩაეკვრება ტკბილს მორფეის...

აგერ მათე წუმწუმას გაჰკრავს და ლამპარს უკიდებს. გალიას ოდენა ოთახში საშინლად ცივა. ბრრრ!.. კბილებს ძიგძიგი გაუდის... „რა ულმერთოა ის წვერ-გაწეწილი ხუცესი! ერთს ნაპობს შეშას ვერ გამოსთხოვს კაცი და შვილს-კი უნდა ასწავლო, თავი იტეხო... ეჰ, ამისთანა სიცოცხლეს!..“ მათე შესაბრალისის სახით შეხედავს ძველებურს ქვის ბუხარს, რომელშიაც ორიოდ მუგუზალი-ღა ბოლავს, ექვს ალაგას გამოგლეჯილს საბანს კედლისკენ მიაკეცს, გამწვირიანებულს უპირო ჩითის ბალიშს აქეთ-იქით გვერდებზე ხელებს შემოჰკრავს და შემდეგ ტანისამოსის ხდას შეუდგება. აი გაიხადა მათემ თავისი რამდენსამე ალაგას დაკერებული შალის პიჯაკი, გაიხადა პარუსინის შარვალი და ბოლოს გაიძრო... უკაცრავად, შემოიძრო საარაკო ფეხებზედ შემოხვეული სამუგეს ტყავი; დასასრულ, თავის მუშტის მსგავსს ფეხებს მწარის ღიმილით დახედა, კედელზე ჩამოკიდებულს ორშაურიან სარკეში თიალი მოჰკრა გაყვითლებულს, ლოყებ-ჩავარდნილს სახეს და გრძელ გაწეწილ წვერს, თავი ნაღვლიანად გაიქნია და საჩქაროდ ჩაიყურყუმელავა საბანს ქვეშ. დასწყევლა ღმერთმა! ეს ლეიბი რაღამ გააცივა? თითქოს ქვის იატაკზე იწვეს, ისე გაუყინა გვერდები... მათე მოიკუნტა, მუხლები მუცელზედ მიიკრა და საბანი თავზე გადიხურა.

დეკემბრის მძაფრი ქარი საზარელის ხმით ზუზუნებს და კვნესის გაცივებულს ბუხარში. ფიცრის კედლებს ჰრიალ-ზანზარი გააქვს. ფანჯარაზე რამდენსამე ალაგას გაკრული გაზეთის ნაგლეჯები იალქნებივით იბერება და ხრიგინებს, როგორც დაფ-დაფი. გარედ ჰყინავს, ცა მოკაშკაშებულია...

იქროლე, ქარო, რამდენიც შენს გულსა და სულს უნდოდეს! მათეს ახლა შენი აღარ ეშინიან: საბანს ქვეშ შეგუბული ჰაერი სუნთქვისაგან ნელ-ნელა თბება; გაცივებულს ძარღვებში სისხლი უფრო და უფრო მკვირცხლად დაურბის და ავრცელებს მრთელს სხეულში სასიამოვნო სითბოს გრძნობას... აი სთვლემს კიდეც, და მაინც ჩაეძინებოდა, რომ ეს წყეული ქარი არა, რომელიც შეუწყვეტლად ზუზუნებს და ზუზუნებს... მაგრამ თან და თან საზარელი ზუზუნი სუსტდება, უფრო და უფრო ბუნდად მოისმის და ბოლოს სწყდება... მაგრამ, ეს რაღაა? თითქოს შორიდამ იმის ნაცვლად მოისმის რაღაც ტკბილი საკრავის ხმა... რა უცხო, ციური რამ ხმებია!.. უთუოდ დამკვრელს ერთობ ნაზი, დახელოვნე-

| | |
|---|---|
| 900 . . . . . . | 1—67 |
| 700 . . . . . . | 1—31 |
| 500 . . . . . . | „—93 |
| 300 . . . . . . | „—56 |

და სხვ.

გარდა ამისა, ხელმწიფე იმპერატორმა 18-ს დეკემბერს 1892 წელს უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, რომ 1890 და 1891 წლის დამატებითი სახელმწიფო გარდასახადი 33,985 მან. და 74 კაპ. შევსებულ იქნას ნაწილ-ნაწილად 5 წლის განმავლობაში.

*** ბორჯომის რკინის გზის შტოს გაყვანას შეუდგებიან 20 აპრილს. ჯერ ხაშურის სადგურზედ გარდახდილ იქმნება პარაკლისი, რომელსაც დაესწრებიან ამიერ-კავკასიის რკინის გზის უწყებათა უფროსნი და შემდეგ მუშაობა დაიწყება ახალ-დაბიდგანა და შავი წყლიდგან.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ პატარძეულში ყვავილი გაჩნდა და ორი ყმაწვილი გახდა ავადაო. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ერთი მათგანი გარდაცვლილა.

*** თელავი: ხუთი ექვსი დღეა, ყანთარზე პური იმდენი არ მოდის, რამდენისაც მსურველია. თვითო ოროლა ტომარა მოაქვთ დღეში. ბევრნი სოფლელნი გამომცხვარ პურსა ჰყიდულობენ: ზოგნი უილაჯობით და ზოგნიც იმიტომ, რომ ყანთარზე ფქვილი არ არის. გამამცხვარი პური, ქალაქიდამ სოფელში წაღებული, აბა რა უნდა იყოს? ხმა გავარდა აქა, რომ ერთს მოქალაქეს, სახელდობრ, იაგორ ოსკანოვს, თერთმეტი ვაგონი პური უყიდნია და მალე მოიტანსო. ისე გაჰყიდის, როგორც დაუჯდებაო. ღმერთმა ქნას, მართალი იყოს, დიდის მადლობის ღირსი იქმნება. ეს პირველი არ იქმნება ოსკანოვისაგან ასეთი კეთილი საქმე.

კვირას, 18 აპრილს, თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში პანაშვიდი გადიხადეს განსვენებულ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მოსახსენებლად.

18 აპრილს თელავის სამოქალაქო სასწავლებლის ზედამხედველ ბ ნ ვ. კიკნაძისაგან მიწვეულ იყვნენ მოსწავლეთა მშობელნი და ნათესავნი მოსასმენად დარიგებისა, რომელითაც უნდა იხელოძღვანელონ მშობლებმა, ბავშვების მოვლის დროსა, თუ ვინიცობაა ხოლერა გაჩნდა.

*** ნავთლუგი (რკინის გზის სადგური ბაქოსკენ), 18 აპრილი. რკინის გზის ლიანდაგზედ კალია მრავლდება, მატარებელს სიარული უძნელდება და ამიტომ სადგურის უფროსმა რკინის გზის მმართველობას სთხოვა, ერთი მატარებელი კიდევ გამომიგზავნეთ საშველადაო.

17 აპრილს აქ მოვიდა ახალი ექიმი, რომელიც საგუბერნიო მართველობისაგან არის გამოგზავნილი, და იმედი გვაქვს, წინადვე გვაცოდინებს, როგორ მოვიქცეთ, თუ ხოლერა გაჩნდა. ამისთანებში ჩვენისთანა უკან დარჩომილი არც ერთი მაზრის ქალაქის მცხოვრებელნი არ იქმნებიან.

*** ბოყიპრომისლი: აქედ ჯერ-ჯერობით მშვიდობიანობაა; არავითარი ავადმყოფობა არ არის; სახლების დეზინფექციას უკვე შეუდგნენ, რადგან ეშინიანთ, ხოლერამ თავი არ იჩინოსო. ეს მით უფრო საჭიროა, რომ აქაურნი მცხოვრებნი თათრები, ჯერ ერთი, მეტად უსუფთაოდ სცხოვრობენ და, მერე, კიდევ ბევრი რამ დარჩა ხოლერის შემდეგ დაუწვავი: ტანისამოსი, ლოგინი და სხვ.

ძალიან სუსხიანი გაზაფხულია; ჯერ ისევ ცივა და ეს სიცივე, ცოტა არ იყოს, ხელს უშლის თევზის ჭერას, რადგან სიცივის გამო თევზი ცოტა გამოდის. ამას ემატება ისიც, რომ წყალს ჯერ არ მოუმატნია. ამ ორიოდ დღის წინად წყალმა აიწია და თევზიც ბლომად დაიძრა, მაგრამ შემდეგ წყალმა ისევ იკლო.

მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ არა გამოუტყვრა-რა: ან კალია არ გაჩნდა, ან და წყალმა არ წალეკა. წყალ-დიდობისა ძალიან ეშინიანთ. აქაურ ადმინისტრაციის განკარგულებით, მთელის მაზრის ხალხი გაიწვიეს ბეგარაზედ, მტკვრისა და არაქსის ნაპირების გასამაგრებლად. მთელს ორ თთვეზე მეტი მუშაობდა ხალხი და კარგადაც გაამაგრეს; აიყვანეს დიდრონი მიწის ყორეები—გასჭრეს არხები და სხვ. დაფასდება თუ არა მათი შრომა, ეს ღმერთმა უწყის.

*** ახალ-სენაკი: ახალ სენაკსა და ზუგდიდს შუა სამი დილიჟანი დადის. დილიჟნის ფასი ერთხელვე გადაკვეთილი არ არის. უნდა გადაიხადო იმდენი, რამდენსაც თვითონ მედილიჟნეები გიბრძანებენ. მგზავრმავე უნდა იხადოს მდინარე ხობის წყალზე ბორნის ფული. ცხენები ხომ ისეთი ჰყავთ, რომ წისქვილზედ დაიფქვიან.

ამ ხოლერიანობის მოლოდინში საჭიროა მიაქციონ ყურადღება ქალაქის სისუფთავეს და იმ ერთად-ერთს საზოგადო ჭას, რომელიც ყანთართან არის და რომლის წყალსაც ხმარობენ მოქალაქენიცა და სოფლელნიც. ამ ჭას გარეშემო საშინელი უსუფთაობაა და დიდი წუმპე სდგას.

*** სამეგრელო: აქაურების ყოველ დღიური სალაპარაკო სიმინდის ფასის დაწევა არის. სიმინდის მეტი არა გვაბადია-რა თითქმის და ესეც ასე ფას დაწეულია. აქეთ არც მევენახეობას მისდევენ და არც საქონლის მოშენებას. მდიდარი თუ ღარიბი, თავადი თუ გლეხი, ყველა სიმინდის მუშაობას მისდევს, რადგანაც აქაური ბუნებაც ხელს უწყობს სიმინდსა და მოსავალი მისი უხვი იცის. აქ ამჟამად ფუთი სიმინდი შვიდ შაურად ფასობს. ამ ფასად გაყიდვა სიმინდისა, სწორედ გადაყრაა და არ ვიცით, რა გვეშველება. ჩვენის ჭკუით, ამ ტკივილს მალამოდ დაედება ეგრედწოდებულ ელევატორის დაარსება; საჭიროა საერთო ღონე და ძალა, რომ იქნება ამით მაინც დაედოს მალამო ჩვენს დღევანდელს ტკივილს. კარგი იქმნება აქაურმა შეძლებულმა და შეგნებულმა საზოგადოებამ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. ელევატორის დაარსება შეიძლება ახალ-სენაკში, რომელიც სამეგრელოს შუა-გულია.

*** იქიდამვე: ჩვენკენაც ძლიერ ცუდი ზამთარი იყო წელს. არამც თუ მარტში არ მოგვასვენა, ამ აპრილშიაც რამდენჯერმე თოვლი მოვიდა. სიცივემ ხეხილი დასწვა და ბოსტნეულობაც ძალიან გააფუჭა. საქონლისათვის საკვები არსად იყო და უსაქმლობით ბევრი საქონელი დაიხოცა. ზოგან თითო კონა ფუჩეჩს აბაზად ყიდულობდნენ, მაგრამ იმის შოვნაც არ იყო. ამისთანა უამინდობამ გაავრცელა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, მაგალითად: წითელა, ყელ-ჭირვება, ანთება, სურდო-ხველა და სხ. ნამეტნავად გავრცელებულია წითელა, რომელიც დიდს ზარალს იძლევა. ამბობენ, რომ წელს აქეთ ვერაფერი მოს ვალი იქნებაო.

*** ამ ორის წლის წინად, რკინის გზის უფროსს ბუღგალტერს იაკობ კლოსუპს გამოდიდგან მოჰპარეს ოქროს საათი მეწკვით, ღირებული ოც თუმნად. გუშინ ბოქაულმა სვიმონიშვილმა ეს ნივთები უპოვა დუშეთის მაზრის, სოფელ დაბაგნეთის მცხოვრებს, დავით ხინგებაშვილს. აღმოჩნდა, რომ ეს ნივთები მოუპარავს კლოსუპსის ძიძას და მიუყიდნია ხინგებაშვილისთვის.

—

შეცდომის გასწორება. ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელ ნომერში ფელეტონის სათაურად შეცდომით იყო დაბეჭდილი: ზურნა, უნდა იყოს: ზურია.

## პასუხად ჩვენის გრამმატიკის კრიტიკოსს.

(შემდეგი *)

ახლა იხილეთ, რას გვაყვედრის ჩემი კრიტიკანი:

«ერთი კისერ-მოსატეხი ადგილი ქართულს გრამმატიკაში ზმნა არის. ბევრს ეცადნენ და ჩვენი ულვლილება ვერ გაარკვიეს, ვერ გაამარტივეს. პლატონ იოსელიანი ბევრს ეწვალა, ბევრნაირად დახარა ქართული ზმნა, ბოლოს დავთრები აერია და სთქვა: ქართული ზმნა ყველა უკანონოაო (неправильные). ახალის ქართულის გრამმატიკის შემდგენელმა აი ამ სახიფათო „ზმნას“ უნდა მიაქციოს თავისი ყურადღება: თუ ზმნას მოერია, სხვა დანარჩენი, შედარებით, რასაკვირველია, ადვილია. ჩვენი ავტორი მოერია ზმნას? ვერა, ვერ მოერია და ვერ ასცდა ესეც პლატონ იოსელიანის ბედს“.

ე. ი. ვითომ მეც პ. იოსელიანივით ყველა ზმნები უკანონოდ ჩამითვლია.

დიაღ, ქართულს-ენაში ზმნების დახრა მრავალ-ფეროვანია და თავსატეხი, ყოველის სიტყვის ნაწილი ზმნად იქცევა, ზმნად ქცეული—მიმღეობად, უკანასკნელი ისევ—ზმნად... მერე ქართულს ენას მრავალ-გვარი სახე აქვს, მრავალი დრო და თავისებურობა. აღულეველია ქართულის ზმნების ძალა და ტრიალი; გასაოცარია მისი ძლიერება, თავისებურობა, მრავალ-ფეროვნობა. არა ვგონებ, რომ დედამიწაზე მოიძებნებოდეს ქართულის ენის ბადალი ზმნის დახრაში. მთელი ძალ-ღონე ჩვენის ენისა, მისი წარსულ-მომავალი, მისი სალარო და საუნჯე აქ, ამ ზმნების დაუსრულებელს ტრიალშია მოთავსებული. ზმნა არის გული და სული ჩვენის ენისა. ყველა კლასიკური მწერლები იმისთვის არიან კლასიკურნი და წარჩინებულნი (რასაკვირველია, ენის მხრით), რომ მათ სხვებზე უკეთესად სცოდნიათ ქართულის ზმნების ძალა და ეს ძალა დიაღ წარჩინებულად გამოუყენებიათ აზრთა გამოსათქმელად. რუსთველ-შავთელ-ბესიკ-ბარათაშვილებს და ზოგიერთთა საეკკლესიო საგალობელთა მწერალთა (იოანე ჭიჭიმელს, პეტრიწის, არსენს, ნიკოლოოზს მროველს და სხ.) უმაღლესს წერტილამდე აღუწევიათ დროშა ქართულ ზმნათა ძლიერებისა.

ჩვენს და უცხო ქვეყნელ გრამმატიკოსებს დიაღ ყურადღება მიუქცევიათ ამ საგნისათვის და სცდილან მათის მრავალფეროვან დახრათა შეგნებასა და განკანონებას, მაგრამ შორს ვერ წასულან. ეს მრავალფეროვანობა ქართულის ზმნებისა იყო მიზეზი, რომ ზოგიერთთა ყველა ქართული ზმნა უკანონოდ ჩასთვალეს და აღარც, რამდენიც ზმნაა, იმდენი მიმოქცევა უნდა იყოსო. ხოლო ზმნების რიცხვი ხომ აუარებელია და ანგარიშ-მიუწდომელი, რადგან ყოველი სიტყვა შეიძლება ზმნად გარდიქცეს ორგვარის წარმოებით, ყოველი წარმოებულიც ისევ ზმნად გადაიქცეს. ოთხ-ხუთჯერ გადაქცეული სიტყვა ხელახლა ზმნად შეიცვლება. ახლა წარმოიდგინეთ, ამდენი ზმნები თუ უკანონოა და ყველას თავთავისი დახრა აქვს, მაშინ რამდენი ასი და ასი-ათასი დახრა უნდა შეისწავლოს კაცმა, რომ ქართული ენა შეითვისოს!!?

ჩვენ დიახ გულდადებით მოვეკიდეთ მაგ ზნების განკანონებას. ყველა საერო და საეკლესიო მწერალთაგან შევკრიბეთ დიდ-ძალი მასალა, შევისწავლეთ და ცხადად დავამტკიცეთ, რომ ყველა ზმნების მიმოქცევა სამს უმთავრესს კანონს ექვემდებარება; ამასთან ვუჩვენეთ ისიც, თუ როგორ იწარმოებიან მათგან დრონი, სქესნი და წარმოებულნი სახენი. ვრცელი გამოკვლევა ამისი შეადგენს მეორე ნაწილს ჩვენის შრომისას (განხილვა შესმენილთა). ამ ნაწილიდამ ჩვენ პირველს ნაწილში ჩავურთეთ მოკლე,

*) იხ. „ივერია“, № 76.

---

ბული თითები უნდა ჰქონდეს, რომ უსულო სიმებს ასეთის გრძნობით სავსე ხმები გამოაცემინოს... მერე ვინ არის ის თვალთ-მაქცი, რომელიც აგრე ჰხიბლავს მათეს სმენას? მათე სცდილობს გაარჩიოს რამე და აშტერებს თვალებს გარე მოცულს ბინდბუნდში... საკვირველია! აი, იქ, ლამაზად მორთულს პატარა ოთახში ზის სავარძელში ახალგაზდა ქალი, რომელსაც ხელში ჩონგური უჭირავს, და იმისი ნაზი, თითქოს საგანგებოდ დათლილი თითები მარდათ დარბის საკრავის სიმებზე... ვიშ რა ტურფა ქმნილებაა! ჟუჟუნა თვალები, შავი წარბ-წამწამი, თეთრ-ყირმიზი სახე... ვარდის ფერი ტუჩები ოდნად გაუპია მომხიბლავ ღიმილს და ბროლივით თეთრ კბილების წკვრივი გამოუჩენია... ქალი უკრავს და გრძნობით გამსჭვალული საუცხოვო ჰანგებს დაჰმღერის...

— ოჰ, რა ციური, გულის დამატყვევებელი ხმა გაქვს! — მაგრამ... მითხარი, ვინა ხარ? რომელი ცით ჩამოსული ვარსკვლავი? ქალი დაკვრას შესწყვეტს და ყვედრებით, მაგრამ ნაზის ხმით მიუგებს:

— არა გრცხვენიან, მათე? დაგავიწყდი? მე ხომ შენი ცოლი ვარ, გონს მოდი!

მათე თავში ხელს იტკვლეცს:

— მომიტევე, ჩემო სიცოცხლევ! წარმოიდგინე, შენმა სირინოზის ხმამ ისე გამიტაცა, რომ ცაზე მეგონა ჩემი თავი... დაამღერე, დაამღერე კიდევ, ჩემო სულის-დგმავ!

ისევ გაისმის საუცხოვო ხმები... მათე სკამ-ლოგინზეა წამოწოლილი... მგრგვალ სტოლზე დადგმული კოხტა ლამპარი ავრცელებს ნაზს სინათლეს კოპწიად მორთულს ოთახში. ფანჯრებზე ფართო ფოთლებიანი ჩითის ფარდებია ჩამოშვებული: ერთს ფანჯარასთან სდგას მათეს საწერი სტოლი. იქვე მინებიანი განჯინაა, რომლის თაროებზე ჩანწკრივებულია მშვენიერ-ყდიანი წიგნები... საითკენაც მიიხედავ, ყველგან ქალის გემოვნებასა და მზრუნველობას შეამჩნევ... მათე სრულს ნეტარებას მისცემია—გული ტკბილად უძგერს...

— რად შესწყვიტე დაკვრა, ჩემო ღვთაებავ?

— ახლა კრმარა, მათე—მიუგებს ცოლი,—მოდი რამე ვიკითხოთ!

ისინი მიუსხდებიან საწერ სტოლს, დაიწყებენ კითხვას. წიგნი საინტერესოა და შეეხება აღზრდა-განათლების ისტორიას, ძველის დროიდამ მოკიდებული ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე. მათეს იდაყვი სტოლზე დაუყრდნია, თავი ხელზე დაუბჯენია და სრულის ბედნიერების გრძნობით ავსილი უსმენს თავის მშვენიერს ცოლს, რომელიც ტკბილის, ნარნარის ხმით წიგნს ჰკითხულობს.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, ფიქრობს მათე. შიგ გულის სიღრმემდე ჩადის ეს სირინოზის ხმა!...

კედლის საათმა თერთმეტი დაჰკრა.

— ახლა-კი ძილის დროა! წავიდეთ, მათე! ქალი წიგნს შეჰკეცს.

— ოჰ, კიდევ, ერთხელ კიდევ გამაგონე შენი მშვენიერი კითხვა!

— კმარა, მათე! ნუ დაივიწყებ, რომ ხვალ ადრე უნდა ავდგეთ და ჩვენს ბღარტებს ვასწავლოთ...

ცოლ-ქმარნი, ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, საწოლს ოთახში გადიან. აქ ისინი ერთმანეთს ეკუთვნიან, ხვალინდელ დღეზე აღარ ჰფიქრობენ.... ერთმანეთს მაგრად ჩაეკვრიან და სრულს თავ-დავიწყებას მიეცემიან....

ცხადი.

მოწყენილის დეკემბრის დღის მკრთალი სინათლე მათეს ოთახში შეიჭვრეტს. იმას ჯერ კიდევ სძინავს. ტკბილი სიზმრები თავს დასტრიალებს.... მაგრამ, აი უეცრად დაჰბერავს ქარი და საზარელის ზუზუნით ჩამოღრიალებს გაცივებულს ბუხარში... მათეს ცივად რაღაცა უკბენს გულზედ.... მათე შეკრთა, მწარედ დაიკვნესა და თვალები გამოაჭყიტა... გაშტერებით, უაზროდ დაიწყო ირგვლივ ცქერა.

— დამიფარე, ღმერთო! — იფიქრა მან,—სადა ვარ, ნეტა ვიცოდე? ეს ოთახი სრულიად ჩემსას არა ჰგავს: ჭუჭყიანი, დაუგველი... აღარც განჯინა წიგნებით, აღარც ის ანგელოზი ქალი.... საკვირველი ამბავია! იქნება მეც სხვა ვინმე ვიყო?.. აქ მათე წამოიჭრა ლოგინიდგან, საბანი შორს გადისროლა და თავის მუშტის მსგავსს ფეხებს დააცქერდა... კარგა ხანს იყო მათე ასე გაშტერებული.... ბოლოს განცვიფრებულს სახეზე მწარე ღიმილი გამოეხატა, ღრმად ამოიხვნეშა, თავი ნაღვლიანად გააქნია და წაიბუტბუტა: „სიზმარი ყოფილაო?“...

— რა ტკბილი იყო ეს სიზმარი დ სამაგიეროდ რა მწარეა, რაც ცხადია!—იფიქრა მათემ;—ისევ ცივი ოთახი, სიმშილი, უპატრონობა, ობლობა....

ზზზ!.. ზუზუნებს ქარი, ახრიგინებს

მაგრამ დიალ მართალი კანონები ზმნების დახრისა და ბოლო-სიტყვაობაში ვაცნობეთ მკითხველთა: „მართალია, მეორე ნაწილი ჩვენის შრომისა (განყოფილება მეორე მეორის ნაწილისა), რომელშიაც დაწვრილებით განხილულია უღვლილება ზმნათა და მათნი სინტაქსიურნი თვისებანი, დაუბეჭდავად დაგვრჩა ჩვენის ხელ-მოკლეობით, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ ჩავურთეთ „საზოგადო განხილვაში“ მეორე ნაწილისაგან ამოკრეფილი და შემოკლებული გამოკვლევა ზმნებისა (გვ. 50—66). ვინც მოთმინებით და ყურადღებით დააკვირდება ამ გამოკვლევას, საკმაოდ შეიგნებს რთულს და მრავალ-ფეროვანს კანონებს ზმნების რყევისას“.

კრიტიკოსსაც რომ მოთმინებით შეესწავლა (ხოლო მას, როგორც დავამტკიცეთ, არც-კი წაუკითხავს) ეს ნაწილი ჩვენის შრომისა და შეეწონ-შეეფარდებინა წინანდელ მეგრამმატიკეთა შრომასთან, ის უსათუოდ დაინახავდა ჩვენის შრომის ღირსებათა და დარწმუნდებოდა, რომ მთელი ეს ნაწილი ჩვენის გრამმატიკის, როგორც დანარჩენებიცა, წარმოგვიდგენს ახალს გამოკვლევას, დიალ საფუძვლიანს, მტკიცედ დამყარებულს და დამტკიცებულს. მაგრამ რას ვამბობ? კრიტიკანს სხვა არაფრის სურვილი ჰქონია, გარდა ჩვენის „ყბადაღებისა და ჩვენის დათრგუნვით თვისის პედაგოგ-ნიჭის გამობრწყინებისა... ამ ანგარიშებით გატაცებულმა მთელი ჩვენი მიმოქცევა ზმნათა ამაო შრომად დასახა და ეს ამოდენა უზარმაზარი დასკვნა ერთს ბეწვზე დაჰკიდა: „ყველა გრამმატიკოსები ერთობლივ ხუთს დროსა სთვლიდენ, ხოლო ჩვენმა ავტორმა ექვსი იპოვაო!“ აი მთელი მისი საბუთიანობა.

ვთქვათ, ზმნების მიმოქცევას, სიმოკლისა გამო, ჩვენი კრიტიკანი ვერ მიხვდა. მაგრამ რატომ ბრუნვების ვითარება მაინც ვერ დაინახა. ყოვლადის დაწვრილებით და დამტკიცებით გამოკვლეულია ბრუნვების ტრიალი ჩვენს გრამმატიკაში. ამ ნაწილს უჭირავს თითქმის ერთი მესამედი ჩვენის შრომისა (გვ. 119—173). ჩვენ ამ გამოკვლევით გვსურდა რამდენადმე მაინც აგველაგმა ის ავლაბრული და ბულვარ-ბაზური მწერლები, რომელთაც განრყვნეს ჩვენი ენა. რამდენი ახალი აზრები, დასკვნები, კანონები და წვრილმანები შეგხვდებათ აქ ყოველ გვერდზე, ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ კრიტიკანს განგებ თვალი მოუშორებია, აუღია ერთი ფრაზი ცაგარლის წიგნიდამ: „Относительно склоненія всѣ пришли къ заключенію, что оно одно за весьма немногими отступленіями“, ეს ფრაზი თითზე დაუხვევია კრიტიკანს და ჩვენი ექვსიუტანელი უმეცრება და ჩვენის შრომის ამაოება გამოუცხადებია მლაღადებელსა: „არსებითთა სახელთა (ცაგარლით და ჩუბინოვით) აქვთ ერთი კანკლედობა“, ხოლო დახეთ, „ჩვენი ავტორი-კი გაიძახის: ერთი-კი არა, სამიაო“?. და ამის გამო მთელი მისი შრომა „ამაო შრომა არისო“. სად არის აქ, ნეტავ, ნატამალი მაინც საბუთიანობისა? რაკი პროფესორმა ჩუბინოვმა, გინა რომელმანმე „მსხვილ-ფეხოვანმა“ ერთი თქვა, სხვას ნუ თუ ნება არა აქვს ხმის ამოღებისა!.. მეცნიერება ფეხსაც წინ ვერ წასდგმიდა, რომ მაგ გზას დასდგომოდა

ჩვენ დიალ ვიცოდით, ბროსსე-ცაგარელ-ჩუბინოვის და სხვა მეგრამმატიკეთა აზრიც, ყველა შევუწონ-შეუფარდეთ და სრულიად ცხადად და შეურყეველად დავამტკიცეთ, რომ ქართულს ენას აქვს ერთი საზოგადო საბოლოო ბრუნვათა (იხ. გვ. 128 და სხ.) და არა სამი; ხოლო სამი სათვითო საბოლოო. ეს იმდენად ცხადად არის დამტკიცებული, რომ თვალითაც დაენახება, გულისხმიერებასაც რომ ძალა არ დავატანოთ: იხილეთ, მაგალითებრ, გვერდი 130—131, სადაც ერთ ცხრილში თავმოყრილია ყველა ბრუნვები და თითოეულს ცხრილში ნაჩვენებია ძირი სიტყვისა, მეორე ცხრილში—ცვალება სათვითოთა საბოლოოთა და მესამე ცხრილში—საზოგადო საბოლოო. მერე იქვე წაიკითხავთ „საზოგადო დასკვნას“ და შემდეგ ამისა სრულიად ახალ გამოკვლევას ორიოდ-სამკეც ბრუნვებზე და მათს ხმარებაზე. ყოველივე ეს ადვილი გასაგებია და ცხადად დასანახი.

გამოაცხადეთ, ბატონო კრიტიკანო, რომელ „შვიდს ძველ-და-ახალ გრამმატიკებს“ შეუდარეთ თქვენ ჩვენი ბრუნვები და მთელი შრომა და როგორ დარწმუნდით, რომ ავტორს (ესე იგი მე) არა ჰქონია ახალი დაკვირვება და გამოკვლევა, რომელიც წინა ავტორებს არა აქვს, ესე იგი, ვითომ მე არც ერთი ახალი აზრი არ გამომეთქვას, არც ერთი ნაკლი ძველის გრამმატიკებისა არ აღმევსოს, ხოლო შეცდომები გამემრავლებინოს, სხვისი დასკვნები დამემახინჯებინოს.

თ. ჟორდანია

(დასასრულ იქნება)

---

# უცხოეთი

**გერმანია.** იმ ამბავს, რომელიც სამხედრო კანონ-პროექტმა გამოიწვია გერმანიაში, ეხლა მოჰყვა არა ნაკლებ საყურადღებო ამბები. ფინანსთა მინისტრი ცდილობს დაამტკიცებინოს პარლამენტს ხალი გარდასახადი, რომელიც გაწერილ იქმნება ფულის პატრონებზედ და მამულების შემოსავალზედ. ამ გარდასახადს მინისტრმა დაარქვა „დამატებითი“ გარდასახადი. ფულის პატრონთ, რასაკვირველია, არაფრად ესიამოვნათ გარდასახადის შემოღებაზედ ლაპარაკი და ასე მოახსენეს მინისტრს: რად გვატყუებთ და ახალს სახელს რად არქმევთ მაგ გარდასახადს. პირდაპირ სთქვით, რომ ჩვენს მამულებს გარდასახადი უნდა გააწეროთო.

მინისტრმა მიკელმა უპასუხა: რაცა გნებავთ, ის დაარქვით ამ გარდასახადს, ჩემთვის ეგ სულ ერთია. ხოლო, ჩემის აზრით, ამ გარდასახადს ძლიერ დიდი კავშირი აქვს იმ რეფორმასთან, რომლის ძალითაც უკვე დაწესდა შემოსავლის მიხედვით გარდასახადის გაწერა. ჩვენ ძლიერ სამართლიანად მოვიქეცით, რომ შემოსავალს გარდასახადი მოვუმატეთ. ახლა ისიც საჭიროა, რომ ეს გაწერა უფრო სამართლიანი იყოს. განა ყველასათვის ცხადი არ არის, რომ მემამულეს, რომელსაც წელიწადში ათი ათასობით აქვს შემოსავალი, ან კიდევ ფულის პატრონს, რომელსაც ბანკში ფული შეუტანია და სარგებლითა ცხოვრობს, უფრო მეტი გარდასახადი უნდა გამოერთვას, ვიდრე პროფესორს, მკურნალს ან ვექილს, რომელსაც დღეს იგივე ათი ათასი შემოსავალი აქვს და ხვალ-კი, შეიძლება, არც ამის ნახევარი ჰქონდეს, ან კიდევ სრულიად არაფერი?

საყურადღებოა, რომ ახალ რეფორმის წინააღმდეგნი სწორედ ის ნაციონალ-ლიბერალები აღმოჩნდნენ, რომელთაც მიკელი, ვიდრე მინისტრად დაინიშნებოდა, ჯერ რეიხსტაგში მეთაურობდა და შემდეგ პრუსიის პალატაში. მაგრამ ეს ამბავი ძლიერ ადვილად გასაგებია: ნაციონალ-ლიბერალთა დასის უმეტეს ნაწილს შეადგენს ქარხნის პატრონები და მდიდარი ვაჭრები; მიკელის რეფორმა-კი იმათ ჯიბეს შეეხება და, რასაკვირველია, რომ ამ რეფორმას წინააღმდეგობა გაუწიონ.

ნაციონალ-ლიბერალმა ეინერნმა უთხრა პალატაში ფინანსთა მინისტრს მიკელსა: „ჩვენმა მთავრობამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში რამდენიმე ასი მილიონი შემოგვაწერა. ეხლა კიდევ ამბობთ, ახალი გარდასახადი დავაწესოთო. ვსთქვათ, ეს გარდასახადიც შევიწყნარეთ. ვინ არის თავდები, რომ მიკელის შემდეგ კიდევ სხვა რეფორმატორი არ აღმოჩნდება და კიდევ ახალის გარდასახადის დაწესებას არ მოისურვებსო.

შემდეგ ორატორმა განაგრძო: აქამდე გვეგონა, საზოგადოების კეთილდღეობისთვის საჭიროა, რომ არავის შეეძლოს ხელი ახლოს სხვის საკუთრებას, და ეხლა-კი თვით მთავრობა არღვევს ამ კანონს. საკუთრებაზედ გრდასახადის დაწესება ხომ სოციალისტების აზრია და მარკსისა და ენგელსის მიერ 1848 წელს გამოცხადებულ მანიფესტს ეთანხმება.

მერე ვინ ურჩია მინისტრს ახალ გარდასახადის შემოღება? თვით მინისტრმა სთქვა, ვიდრე ამ გარდასახადის შემოღებას განვიზრახავდე, გამოჩენილ ეკონომისტებს მივმართე. ვაგნერმა, შმოლერმა, გუსტავ კონმა და კონრადმა მირჩიეს ამ გარდასახადის შემოღებაო. რა კარგი მრჩევლები ყოფილან! ეგ ხომ კათედრ-სოციალისტები არიან, იმ სოციალისტების ამხანაგები, რომელთაც ძლიერ დიდი ვნება მოუტანეს ჩვენს ქვეყანასაო.

ფინანსთა მინისტრმა მიკელმა უპასუხა ეინერნს: მე სრულიადაც არ შევეკამათები თქვენს აზრს კათედრ-სოციალისტების შესახებ; ის მეცნიერნი, რომელთაც ჰკიცხავს ბ-ნი ეინერნი, ცნობილნი და პატივცემულნი არიან და ჩვენი გამოსარჩლება არ ეჭირვებათ.

რაც შეეხება ეინერნს ... ვითომ ჩვენ სოციალისტები... ლის განხორციელება გვსურდეს, ... ზედ მხოლოდ ვიტყვი: სოციალიზმი... განხორციელება რომ მთავრობასა და ერს ეხლავე შესაძლებელად მიაჩნდეს, სხვა-და-სხვა ღონისძიებათა აღმოჩენა სრულიად საჭირო აღარ იქმნებოდა: თუ რომელმამე აზრმა ხალხში მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა, ამ აზრის განხორციელების გზა თითონ გამოჩნდება. ამ ჟამად ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ უფრო სამართლიანი იქმნება, სახელმწიფო გარდასახადი მეტის სიმძიმით იმათ დააწვეთ, ვისაც მომეტებული შეძლება მოეპოვებათ.

**ბელგია.** ბრიუსელსა და ბელგიის სხვა ქალაქებშიაც ამ დღეებში არეულობა მოხდა, რამდენიმე კაცი მოიკლა და რამდენიმეც დაიჭრა. საზოგადოდ ბელგიაში ხშირად ხდება ხოლმე არეულობა მუშათა შორის. ხოლო ეხლანდელ არეულობის მიზეზი უფრო საყურადღებოა. ამ ჟამად ბელგიაში გამწვავებულია საქმე შესახებ იმისა, რომ საარჩევანო ხმის უფლება ყველა მცხოვრებსა ჰქონდეს მინიჭებული.

2 (14) აპრილიდგან ბრიუსელსა და სხვა ქალაქებში თითქმის ყოველ დღე შებრძოლება იყო ჯარებსა და მუშათა შორის. ამ ამბის გამო საფრანგეთის გაზეთები ამბობენ, რომ ბელგიაში რევოლიუცია მოხდებაო. მაგრამ დეპეშამ გვაუწყა, რომ პალატამ 119 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 14-სა ნისენის წინადადება შეიწყნარა შესახებ ხმების მოკრებისაო. ბრიუსელში მშვიდობიანობა დამყარდა, ჯარები და ჟანდარმები დაითხოვეს და მუშებმაც გადასწყვიტეს, მუშაობას მივყოთ ხელიო. ნისენის პროექტი შემდეგია: არჩევანების დროს უნდა მოიკრიბოს 2,000,000 ხმა, ამათში 750,000 კაცს თითო ხმა ექმნება, ხოლო დანარჩენი 1,250,000 ხმა მოიკრიბება მით, რომ შეძლების მიხედვით ზოგს მიეცემა ორ-ორი, ზოგს—სამ-სამი ხმა.

კრიბოს და 1,250,000 ხმა ორჯერ და სამჯერ.

მიუხედავად ამისა, ეჭვი არ არის, რომ, როცა-კი შემთხვევა ხელს მოუმართავთ, მუშები მაინც თავისას მოითხოვენ და ეცდებიან ბელგიაშიც ისეთი წეს-რიგი ჩამოვარდეს არჩევნებისა, როგორც საფრანგეთშია.

---

ფანჯრებზე გაკრულს ქაღალდს, წრიპინით ძვრება კედლის ჰვრიტიმანებში, ღმუილი გააქვს ბუხარში, და საბრალო მათე კანკალებს, კბილი კბილზე ვერ მოუხვედრებია... ოთახში ჯერ კიდევ ზამთრის დილის ბინდბუნდია; მაგრამ მათე მუყაითი, მშრომელი კაცია, ეშინიან სკოლაში წასვლა არ დაუგვიანდეს, და აჩქარებით ტანთ იცვამს.

აი ჩაიცვა-კიდეც და გაყინული წყალი პირზე შეისხა.

— ქხ, ქხ, ქხ!—მაგრად დაახველა რამდენჯერმე და ფერდებზე ხელი მოიჭირა.—ოჰ, ეს წყეული ხველა! —გაბრაზებით წარმოსთქვა მან. „ეს ჭვალი ბეჭის თავში! რალა უპედურებაა! ცეცხლი მაინც იყოს! ასს მანათს მივცემდი ერთ იმის გუგუნის გაგონებასა და პრიალის დანახვაში“. „რას მისცემდი, რაც არაფერი გაგაჩნია“, გაურბინა აზრმა, და შეხედა გაცივებულს ბუხარს ღრმად ჩავარდნილის დატანჯულის თვალებით... ღმერთო ჩემო! რამოდენი მოთმინება იხატებოდა იმ თვალებში!..

„წასვლის დრო ხომ არ არის?“—და მათემ დახედა ფოლადის საათს, რომელსაც ტაკა-ტუკი გაჰქონდა გაქონილს ათასფერ ლაქებით აჭრელებულს უბრალო ხის სტოლზე. რას არ ჰნახავდა კაცი აქ? სამაბაზიან ლამპარს გამსკდარის ქაღალდ-გაკრულის შუშით, ჭიქას და ბოთლს დაძმარებულის ღვინით, საწერ-კალამს, ხუთიოდ უყდო წიგნს, უთავბოლოდ აქა-იქ დაყრილს, საზამთრო უზარმაზარ შალის ნაქსოვს ხელთათმანს, თამბაქოს და პაპიროსის ქაღალდს, წუმწუმის კოლოფებს, კალმის საჭრელ დანას, და ყველაზედ წინ, თითქოს იმისთვის, რომ მათეს იმათი არსებობა არ დავიწყებოდა, გამოეშვირა მუცლები ორს გულ-ღრმა თეფშსა, რომლებზედაც სწორედ მადის ასაშლელად მოსჩანდა გაფიტული მჭადის ნატეხი და ცივი ლობიო.

„მოდი ვჭამ, იქნება, ხველა გადამივარდეს“, იფიქრა მათემ, მჭადის ქერქი ლობიოს ამოუსვა და რამდენიმე ლუკმა ძალად გადაჰყლაპა. კბილები კიდევ უფრო მძლავრად აუძიგძიგდა: ყოველი ლუკმა ყინულის ნაჭერივით ჩადიოდა კუჭში და მთელს სხეულში ჟრჟოლას უჩენდა. „ეხლა-კი წასვლის დროა!“ დალია ერთი ჭიქა მჟავე ღვინო, მხრებზე მოიგდო გახუნებული თხელი პლედი, ხელში ბზის ჯოხი დაიჭირა და „წაფეხუცდა“.

გარედ გამოსვლის დროს კიდევ მაგრად დაახველა და ფიფქ წმინდა თოვლზე შეამჩნია, რომ ნახველს რაღაც მოწითანო ფერი დაჰკრავდა. მათემ მხოლოდ თავი გაიქნია.

სკოლა იქვე, ოციოდ ნაბიჯზედ იყო. ბავშები ეზოში გამოფენილიყვნენ და ჟივილ-ხივილით მუხლამდის თოვლში ჩაფლულნი თოვლა-ბურთაობდენ. „მოდის, მოდის!“—დაიძახა ვილამაც, ერთბაშად თამაში შესწყდა და ყველანი თვალის დახამხამებაზე სკოლაში შეცვივდნენ.

მათემ ჯოხის შემწეობით, როგორც იყო, აიარა უხიფათოდ კიბის სანახევროდ დამპალი საფეხურები, პარმაღზე ავიდა და შეაღო სკოლის კარები. იმის ფეხის შედგმა და შეგირდების ხმა-მაღალის ხარხარის ატეხა ერთი იყო. მათე შეკრთა, ფერი ეცვალა და უნებურად ბავშვებისაკენ მიიხედა... ოჰ, იმ წამსვე მიხვდა საბრალო, რაც იყო სიცილის მიზეზი. პატარა პაჭუა დათიკოს, ცოცხალს, ცქრიალა ყმაწვილს, რომელსაც ამხანაგები „ცხვირ კოჩას“ ეძახდნენ, ძლიერ მოხერხებულად მოენგრია ფეხის ტერფი და მიჩლახუნობდა კოჭლობით. ისე სინამდვილით აჯავრებდა კოჭლობაში მათეს, რომ ბოვშებს სიცილი ვეღარ დაეკავებინათ. მათეს ღრუბელივით დაეწურა გული და შიგ ისეთი საშინელი ტკივილი იგრძნო, თითქოს იმის უმთავრესი ძარღვი ჩასწყდაო. ნაღვლიან თვალებზე ნისლი გადაეკრა და ყველაფერი, რაც მის წინ იყო, აირ-დაირია უთავბოლოდ და ერთ უზარმაზარ გაურკვეველ ლაქად წამოუდგა...

„დამცინიან, უწყალოდ დამცინიან!.. ცხადია, იმათ არ ვუყვარვარ... რადა? იქნება, არც შენ გიყვარს ისინი?.. ამ კითხვით მან თავის დაწყლულს გულს მიჰმართა, და გულმაც ბაგა-ბუგით მიუგო: „მიყვარს, მიყვარს, მიყვარს!.. მე ვარ წყარო სიყვარულისა, მოთმინებისა და მიტევებისა“... ოჰ, რა რიგად დაუმშვიდდა სული, როგორ მოეშვა გულზედ... სახე, რაღაც ზეციურის სხივით გაუბრწყინდა. „მოვა ის სანატრელი დრო, მოვა! ბავშვები დაიზრდებიან, კაცები გახდებიან, კარგს წიგნებს წაიკითხავენ და მაშინ დალოცვენ, დალოცვენ მხურვალედ, გრძნობით (კოჭლს) მათეს... მან მაღლა აიღო თავი და მტკიცე ნაბიჯით მივიდა სტოლთან...

დიმ. ერისთავი

(დასასრული იქნება)

ნებისა, როგორც საფრანგეთშია, ე. ი. საყოველთაო კენჭის ყრა იქმნას შემოღებული.

**სერბია.** შედეგი სერბიის ახალგაზდა მეფის ყოფაქცევისა უკვე ჩნდება. დღევანდელი დეპეშა სრულიად ამართლებს იმ აზრს, რომ სერბია საფათერაკო გზაზედ დააყენეს ახალგაზდა მეფემ ® მისმა კეთილის მყოფელებმა.

## წვრილი ამბავი

ამ ხუთის წლის წინად ერთი ამერიკელი,—გვარად დონნოლი, სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შექსპირის დრამების ავტორი, შექსპირი კი არა, კანცლერი ბეკონი იყოო. ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოტეკის გამგე პურჯდონიც ამოწმებს დონნოლს. პურჯდონიც დიდი ხანაა შეუდგა ბეკონის შესახებ ცნობების შეკრებას და უპოვნია ერთი წერილი ბეკონისა სტუსალოდგან (1621 წ.) მიწერილი ჯონ დევისთან; ამ წერილში ბეკონი ეხვეწება დევისს, ჩემს სიკვდილამდე არ გამოამჟღავნოო, რომ იმ დრამების ავტორი მე ვაროო. ამას გარდა ამ ცოტა ხანში დონნოლიმ გამოსცა კიდევ ბროშურა ამავე საგნის შესახებ, და ამტკიცებს, რომ შექსპირის დრამების ავტორი მხოლოდ ბეკონი-კი არ არის. ბეკონს ჰყავდა თანამოზიარე და თანამშრომელი და ეს თანამშრომელი დედოფალი ელისაბედი არისო. დედოფალი ელისაბედიო, ამბობს დონნოლი— სწერდა ისტორიულ დრამებს და ამით სურდა ქვეშევრდომთათვის შეეყვარებინა დიდებული წინაპარნიო. საბუთად დონნოლს მოჰყავს წერილი დედოფალ ელისაბედისა (მაკკეს არხივში ნაპოვნი), ესსექსთან მიწერილი. ამ წერილში სხვათა შორის დედოფალი სწერს: დოდოფლობის ხარისხი ნებას არ მაძლევს გამოვამჟღავნო ჩემი სახელი დრამატიულ ნაწერებშიო. ამ გვარადო—დაასკვნის დონნოლი—დედოფალი ელისაბედი და კანცლერი ბეკონი შექსპირის სახელით სწერდნენ პიესებსა და თვით შექსპირსკი არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ შრომაშიაო.

— ინგლისში დრამატურგები ძრიელ დიდს ფულს იღებენ. ჯილბერტი ამბობს, რომ ერთს პიესაში „პიგმალიონ და გალატეია“ 400,000 მანათი მომცესო. საზოგადოდ კი წელიწადში 120,000 მანეთს ვიღებო.

— ამ ცოტა ხანში ლეიპციგის პროფესორმა ბუჰერმა დაბეჭდა ცნობანი, რამდენი კაცი სცხოვრობს მთელ დედამიწის ზურგზედა. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ ყველა განათლებულ ქვეყნებში ქალთა რიცხვი გაცილებით აღემატება მამაკაცთა რიცხვსა. მთელს ევროპაში, მაგალითად, (იტალიისა და საბერძნეთის გარდა) სულ 300 მილიონი სული მცხოვრებია. ამათში დედაკაცი $4^1/_2$ მილიონით მეტია მამაკაცზედა.

— ინგლისში ძლიერ გავრცელებულია ერთგვარი გასართობი თამაშობა, ესრედ წოდებული „football“ (ცხენით ჭაკუნი) ამ თამაშობას დიდი ზარალი მოაქვს თურმე. წელიწად ნახევრის განმავლობაში 100 კაცი მომკვდარა ამ თამაშობის დროს და 337 ძლიერ დაშავებულა.

— ჩიკაგოს გამოფენისთვის სხვათა შორის სპირიტებიც ემზადებიან. იტალიაში კონგრესიც გაიმართა სპირიტებისა. თავმჯდომარეობდა კაპიტანი ვოლპი. კონგრესზედ სხვათა შორის ერთმა სპირიტმა წაიკითხა თავისი მოხსენება და ამტკიცებდა, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯა ჯერ ერთი რომ უსამართლობაა, და მეორეც, სიკვდილით დასჯას ძლიერ დიდი ვნება მოაქვსო. სიკვდილით სჯიან ადამიანის სხეულს და ამით ანთავისუფლებენ სხეულისაგან ადამიანის სულს და, რადგანაც ავაზაკის სული ბოროტ-განზრახვით არის გამსჭვალული, ამიტომ, როცა სხეულისაგან განთავისუფლდება, უფრო ადვილად შეუძლიან თავისი ბოროტ-განზრახვა აასრულოსო.

— მილანის კონგრესის წევრთ განზრახვა აქვთ ჩიკაგოს გამოფენაზედ შეიკრიბნენ.

— პრინცესამ მარია ლუიზამ ქორწინების დროს დიდ ძალი ძვირფასი საჩუქრები მიიღო ქმრისაგანა და ნათესავებისაგან:

პრინც ფერდინანდისაგან—გვირგვინი შემკული ბრილიანტებით, ლალებით, ზურმუხტებით და სხ.

საყურეები, შემკული ძვირფას ბრილიანტებით—ეს საყურეები ეკუთვნოდა საფრანგეთის დედოფალს მარია ანტუანეტას.

გულის მეწკვი, 190 ბრილიანტითა და 29 ზურმუხტით შემკული. სამაჯურები და სხვა მრავალი ძვირფასი ნივთები.

მამამ მარია ლუიზასამ ჰერცოგმა რობერტ პარმისამ აჩუქა ძვირფასი მეწკვი ბრილიანტებით შემკული.

ბრიტანიის დედოფალმა—ჩუქურთმიანი ვერცხლის ვაზა და სხვ.

— ძველ ბერძენთა და რომაელთა მწერლების შესასწავლად ძლიერ კარგი წიგნი გადმოუთარგმნიათ რუსულ ენაზე. ამ წიგნს სახელად ეწოდება—„Минерва“ Дж. Гау. Перев. В Алексѣева Спб. 1893 г. ეს წიგნი ძლიერ გავრცელებულია ინგლისსა და ამერიკაში,

გასუთავის წიგნში კლასიკურ მწერლების მკითხველი ჰპოვებს სახეში და ბევრს ცნობებს სწერს მოკლედ ძველ ქვეყნების შესახებ, მაგალითად: ბერძენ-რომაელთა მწერლობისა და მათ ნაშთებისა, ძველად წიგნების გამოცემისა, ბერძნულ და ლათინურ, ენების სხვა-და-სხვა კილოებისა, თეატრისა, სამართლისა, ჯარისა და ფლოტისა მართვა-გამგეობისა, ხრონოლოგიისა და მეტეოროლოგიის შესახებ და სხვ.

უეჭველია ეს წიგნში დაწვრილებით არის მოხსენებული. ეტყობა, ავტორი დიდის ცოდნის პატრონია ბერძენ-ლათინთა მწერლობისა და ცხოვრებისა. წიგნში ჩართულია სურათები ძველ ხელნაწერებისა, ფულისა, ფრესკებისა და სხვა ძველ ნაშთთა.

### წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ 52 ნომერში იყო მოხსენებული, რომ მარტის 8 ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალ. შაიშმელოვისა და გაამართლა იმ ბრალდებისაგან, ვითომ იგი თ. კ. ა—ს კაცებს გზაში დაუხვდა, განიზრახა თივების წართმევა, თოფი მოიხსნა სასროლად, მაგრამ თოფმა უმტყუნა.

ამ გამართლებას უნდა დაერთოს ისიცა, რომ პროკურორმა უარი სთქვა ბრალდებაზე და შემდეგ განაჩენის წაკითხვისა მოსთხოვა სასამართლოს კოპიო ერთის მოწმის ჩვენებისა, ცრუ-მოწმობისათვის სისხლის სამართალში უნდა მიეცეს.

ალექსანდრე შაიშმელოვი

ქ. გორი
1863 წ. აპრილის 19.

# დეპეშა

17 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ იალტაში ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვიცე-ადმირალი გენერალ-ადიუტანტი ბასარგინი.

გუშინ საზღვარ-გარეთიდგან ცარსკოე სელოში დაბრუნდა გარეშე საქმეთა მინისტრი გირსი.

**ბელგრადი.** საპოლიტიკო დასებში ხმა დადის, რომ მალე სამხედრო საქმეებში მოულოდნელი შემთხვევა მოხდებაო. დაწვრილებითი ცნობები ჯერ არავინ იცის.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152^1/_2$ | $153^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — ,, | 1,06 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $245^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | $99^3/_8$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $100^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $100^1/_4$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $99^3/_4$ |


# განცხადებანი

**ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობა** ამით აცხადებს, რომ 24 აპრილს, დილის 10 საათზედ, რკინის გზის საქონლის უმთავრეს საწყობში, ტფილისის სადგურს ახლო, დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა სხვა-და-სხვა ნივთებისა, რომელთა შორისაც არის: 180 ფუთამდე კარბოლინეუმი, 700 ჩოთქი ბუხრების გასაწმენდი, 42 ტიკი, რამდენიმე დაბეჭდილი ქაღალდი, (რვეულებად) და კანცელარიისთვის საჭირო ნივთები.

(3—2)

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში

საქართველოს კალენდარი
1893 წლისათვის
ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)

კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.

უბის წიგნი 1893 წლისთვის
„სულ გაიყიდა“

ქართული
მიწერ-მოწერის კრებული
ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)
ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—22) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(**ძირის ფული 1.000,000 მან.**)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—14) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

## საკომერციო ცეცხლისაგანდაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—17) აგენტი დ. ქ. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, მის მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე— 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**